

რედაქცია: სოლოლაკზე, ბლის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანაგის ქუჩაზე.

ხელის-მღწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მკვლავრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროга“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ქოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს უაშუაბო

განცხადება: მიიღება ქაბთულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებინა: დღის განმავლობაში ასოზე—2 კაპ., ნახევარწლიურ სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციციროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

რამუზა, 31 აგვისტოს. ბელოპოლიურიდან ჩერნოგორიელებმა დაამარცხეს ალი-ფაშის ჯარი; როცა ბრძოლა თავდებოდა, იმ დროს ალი-ფაშას ახალი ჯარი 4,000 კაცი მოუყვია; მაგრამ ესენიც უკუაქციეს ჩერნოგორიელებმა. ოსმალოს ბანაკი ჩერნოგორიელების ხელში დარჩა.

ვენა, 1 სექტემბერს. მენგრიის ზოგიერთს ქალაქში ოსმალების სასარგებლო მანიჭესტაციები დაიწყო: ოსმალოს დაჭრილებისათვის აგროებენ ფულს, მოსალოცავ ტელეგრაფებს უგზავნიან მემდ-ალი-ფაშას და სხვა ოსმალოს სარდლებსა.

ოსმალოს ჯარი ზეორნიკსა და სარაევს შუა იმალემა იმ განზრახვით, რომ ერთბაშით ბელგრადზე წავიდნენ, თუ სერბიამ ომი გამოაცხადა.

ჩერნოგორიელებმა ძალაშინთან დაამარცხეს ოსმალოს ჯარი, ასი კაცი ტყვეთ წაიყვანეს და სამი ზარბაზანიც წაართვეს.

პორადიმ, 31 აგვისტოს. ბუშინ დილიდამ სამ საათამდინ სროლა იყო ჩვენსა და პლენენოში მყოფს ოსმალოს ჯარს შუა; მერე იერიშით მიველით; ავიღეთ სამი სიმაგრე (რედუტი). ამ დროს მოგვიკლეს პოლკოვნიკი შლიტერი და ლენერალი ლობროვოლსკი, ღენ. როდიონოვი დაგვიჭრეს.

ღღეს გათენებისას ხელ-ახლად სროლა შეგვექნა. ჩვენი ჯარი ოსმალოს სიმაგრეების პირ-და-პირ ღვას.

ბუშინ ჩვენის მხრით ხუთი ათასი (5,000) კაცი დაჭრილია; მოკლულების რიცხვი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

ოქმის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდან

არფა-ჩაის მარჯვენა ნაპირზე, ალექსანდრაპოლთან, ჩვენმა სამხედრო მთავრობამ ააგო დიდი სიმაგრეები, რომელზედაც თექვსმეტი დიდი ზარბაზანი არის გამართული. მოწინავე ჯარი ჩვენი კორპუსისა ბაზახტარში არის დაბანაკებული.

13-ს აგვისტოს რომ ოსმალებმა შიზილ-ტაფა აიღეს, იმ ბრძოლის თაობაზე ინგლისურს გაზეთს „Times“-ში შემდეგი დებემა არის დაბეჭდილი რომელიც ჩვენ „Моск. Вѣд.“ № 212-დამ მოგვეყავს:

„შეკველია, რომ ამ ბრძოლაში ოსმალები დარჩნენ გამარჯვებულნი ეს გამარჯვები, სხვათა შორის, იმიტია შესანიშნავი, რომ ახლა ყველანი დარწმუნდნენ, რომ ოსმალოს ჯარს მარტო ციხეებში და სიმაგრეებში კი არა, გამოსული ბრძოლის ველზედაც ძალიან კარგათ შეუძლიანთ იომონ. ეს ბრძოლა მურუქ-ღარასთან, როდესაც ასეთის მხნეობით აიღეს ოსმალებმა ჩინებული სტრატეგიული ადგილი—შიზილ-ტაფის მთა—თითქმის სულ მინდორზე იყო.

„მუხთარ-ფაშას ამ ბრძოლაში ცხენი მოუკლეს. შეელო აქ მყოფი ინგლისის აფიცრები და საზოგადოთ სამხედრო საქმის მკოდნე პირები აქებენ მუხთარ-ფაშასა და აგრეთვე ოსმალოს სხვა ღენერლების განკარგულებასა და მხეობასა.“

ლონდონის გაზეთს „Daily News“-ში არზრუმიდამ იწერებია 21 აგვისტოს, რომ ოსმალოს (მუხთარ-ფაშის) ჯარი ალექსანდრაპოლისაკენ სალაშქროთ ემზადებაო. („Моск. Вѣд.“ № 213).

სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ სოხუმიდამ გამოსულ ოსმალოს ჯარებს 3,000 დარჩენილი აფხაზის ოჯახი გადაუყვანათ ხომალდებითა ოსმალების სხვა-და-სხვა ქალაქში.

„ბირშის სააგენტოში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრაფმა ახალციხიდან 21 აგვისტოს მიღებული ვენაში:

„არტაანი არ დაუცლიათ რუსებს, თუმცა მართალია, რომ ღენერალ-მაიორ-

რი ძომაროვი წავიდა აქედამ ქვეითა ჯარის შვიდი ბატალიონითა და ორი ესკადრონით ცხენოსანით ალექსანდრაპოლის კორპუსთან შესაერთებლად.

„თვითონ არტაანის ციხე ამ უამად სრულიად დაქვეულია ისე, რომ ახლა აქ გამაგრება შეუძლებელია.“

მსოფლის ბრძოლის ველიდან


15 აგვისტოს აქეთ, ბოლკანის მთებში შიპკოს გასავლთან თითქმის არც ერთხელ არ მომხდარა შეტაკება სულეიმან ფაშას და ჩვენ ჯარ შუა. უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებია, რომ ოსმალებმა რამდენიმე ადგილი დაიჭირეს შიპკოს გასავალში და დასავლეთისაკენ, აქ აკეთებენ ბატარეებს და მიუყვანთ თუ არა აღრიანობოლიდამ ახალი ჯარი, იმ წამსვე ხელ-ახლად მიადგებიან კიდევ შიპკოსთანაო. რუსებს კი დიდი იმედი აქეთ, რომ ამ გასაჯალს ოსმალოები ვერ წაართმევენ იმათ. (Голосъ, № 196).

ვენის გაზეთი „Tagblatt“ გვაცნობებს, რომ გასულ 21 აგვისტოს მგვიბტეს ქვეითა ჯარი დასცემია რუსებისაგან გამაგრებულ პაკოიოს და ცხარე ბრძოლის შემდეგ, აულიათ ეს ქალაქი. (Голосъ, № 196.)

ლოცხის ადების მეორე დღეს, 23 აგვისტოს, ოსმალოს ჯარი მიკრდვან მისდგომია ლოცხას, მაგრამ, ოთხი საათის გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, ისინი იძულებული ყოფილან, რომ უკან დაბრუნებულიყვნენ.

იმვე დღეს მეორე ჯარი ოსმალებისა მარენში, მლენის მახლობლად დაბანაკეულს რუსის ჯარს თავს-დასხმა. მაგრამ აქედამაც უკუ-ქვეულ ყოფილან.

შრანცუხულ გაზეთს „Le Temps“-ში მიდინიდამ გაგზავნილი დებემა გვაცნობებს, რომ ლუნაიზე, მიდინის მახლობლად, 200 ნაღვი აქეთ ოსმალებს დამზარებულიო და, როგორც ამბობენ, ოსმალოს სამხედრო მთავრობას განზრახვა აქვს, რომ ამ ადგილას გადაიყვანოს ლუნაის მარცხენა ნაპირზე თავის ჯარები.



საქართველო

უფ. ვალინგად

სახელოსნო შპრავის სტარშინა უ. ვალინგი, რომელიც ისე თავისუფლად ნაფარდობდა შპრავაში, რამდენიმე წლის განმავლობაში, დღეს როგორღაც დაუძღვრებულა: მტყობა ნათავარი გამო ჩენია!.. ამ გარემოებისთვის, ბოლოს, შეუხედამსთ ხელოსნებს და ამას წინეთ რომ არჩევანი ჰქონდათ, შებრალებით სწეული და მოუხსენებთ:

„— დრო არის, რომ სტარშინობით აღარ შეგაწუხოთ და თავის ტკივილს გადაგარჩინოთ!.. ჩვენ მარტო ხელოსნები ვართ და თქვენ კი ხელოსან-ჯიბოსანიც ბრძანებულხართ და ამ თქვენ ძალა-ღირსებას მარტო ჩვენთვის ნუ ხარჯავთ, სხვაგან სადმე უფრო დიდ-სახელ-ვარჯიშო აღვიღწედ გამოგადგებათ და მიბრძანდით მშვიდობითო!“

შუალს ვალინგს ეს არ ჰპიტნავებია და, ბევრის ბოდიშის შემდეგ, აქეთ ცემით, იქით — შეხლია; მაგრამ მაინც ვერა გაუწყვიტა-რა.

არჩევანის დროს ძალიან ჩაუქვიოვბიათ და სხვა ვინმე ამოუჩრჩევიათ:— ეს უფრო გამოგადგება ჭირშიდაცა და ლხინშიაცაო. ამ მოულოდნელი მარცხის შემდეგ დაწუნებულს სტარშინას საჩივარი შეუტანია, რომ არჩევანი უკანონო იყო. მართის სიტყვით, ხელო-

სნები ჩაუბეზღებია, რაღა მაშინ როდესაც, იმ დროს წესის დამცველი და მოთავე თვითონ იყო და თუ ხედავდა, რათ მოახდინა უწყობა? მაგრამ ეს სულ ხრიკები იყო; ის რომ ამოერჩივით, მაშინ ხომ იტყოდა— წესიერი იყოვო და აღარ იჩივლებდა!

ამნაირად ხელოსნების მოპყრობა ჰქმნარიტათ დიდი გაბედვაა და გვიკვირს, რომ შეარჩინეს.

მართლათაც, ის არჩევანი მოიშალა და ხელ-ახალი ამოჩრჩევა უნდა მომხდარიყო; მაგრამ უ. ვალინგი კი ამოდენა ხანია აჭიანურებს საქმეს; ეტყობა, რომ ეზარება ტახტიდან ძირს ჩამობრძანება. მახლას, „ძალად ბებია მიცხონეო“ აბა ეს არის...

ამას წინეთ „ბავკაზის“ გაზეთში რამეები დაუბეჭდია, ვითომ, თავს იმართლებს; მაგრამ ვაი იმისთანა თავას გამართლებას! ჰველა შეატყობს, რომ ამ კაცს „ნიორი უჭამია და მისთვის ეწვის პიროო.“

„მე და ჩემი სეკრეტარიო, ჩვენისთანა არსად არიო; მაგრამ დაფასება სად არიო! იძახის და თანაც ბედს უჩივის:

„1). ამდენი ხანია არ გამოგონია, რომ ჩემზედ საჩივარი ვისმეს ეთქოსო.“

— ბევრს ამბობდნენ, მაგრამ ვე კი მართლა ვერ გაიგონებდა, რადგანაც არც რუსული, არც სომხური, არც ქართული და არც თათრული მაგან არ იცის და მომჩივრებმა კი ჩუხნური არ იციათ.

„2). ძალიადიოთ ჩემზედ საჩივარი არა განცხადებულა რაო.“

აქედამ, პოლიტიკურ გამჭირახობას თუ არა, იმას მაინც ნათლად ხედავთ, რომ მათ მაჰმადიანობას არ წაუხსოვავს მათ გულში ნაციონალური გრძნობა.

×

მსმალოს მთავრობამ რომ ბათუმის გამაგრება და ჯარის მოყვანა დაიწყო, ამ გარემოებამ იგინი ცოტა დააფიქრა. იცით — რისთვის? იმისთვის, რომ იმათში იყო გავრცელებული ხმა, რომ რუსის მთავრობას ქართველებისგან მილიცია გამოჰყავსო და ბავკასიის საომარ სამხედროებზე აყენებო. იმათთვის მწარე იყო ის ჰაზრი, რომ ერთ დღეს იძულებული უნდა ყოფილიყვნენ თოფი ესროლათ თავიანთ თანამემამულეებისთვის; მაგრამ შემოთ მოხსენებული იქვდი მაინც ამხნევებდა მათ.

ნეტავი იცოდეთ, რა ნაირი თავ-განწირვით ისინი სტოვებდნენ დედს, მამას, ცოლ-შვილს და იმწყრევოდნენ თავიათ უფროსების დროშის ქვეშ, მომეტებულათ შობულებით, იმ მიზნის მისაღ-

— ცოტა დაუხევია მთავრე ქრთაუდებო? მაგრამ უ. ვალინგს ვერა მოუხსენებია რა და რევიზიაც იყო დანიშნული; ეს რევიზია დღესაც შეჩერებულია და თუ გულს ერჩის უფ. ვალინგს, რისთვის ცდილობს, რომ ეს რევიზია როგორმე გადააფიქროს? უკაცრავათ რომ ამას ვამბობთ, მაგრამ აქ ცოტა ჩოტკის საქმეა და საჭირო არის, რომ იქვებიდან გამოვიდეთ.

„3). მე ხელოსნების სამსახურში ვავლარიბდიო, სულ მათზედ ეფიქრობდი, ჩემი თავი დავივიწყეო.“

— შიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“ რომ იტყვიან, აბა ეს არის. კიდევ ამიტომ ებრალებათ ხელოსნებსა და რომ კიდევ მეტათ არ გაღარიბდეს, მისთვისაც სთხოვენ, თავს ნულირ იწუნებთ, მიბძანდითო.

„4). სიმრთელიე დავკარგეო, ამბობს.

— და კიდევ მაგას სწუხან ხელოსნები და უჩრჩევენ: წადი, შენს თავს მოუარე და გამოთელდიო; მაგრამ უ. ვალინგი მაინც რაღაცას ფლისტი-ფლუსტობს და მუქარობს! მტყობა, რომ არ გაუგონია ერთი ქართული ჯანდაზა:

„არავინ შეუშინდება მუქართითა და ვიშითა! არ გათეთრდება ყორანი, ბევრიც რომ ხეხონ ქვიშითა!“

დღიური

* * * ბუშინ, 1 ენკენისთვის, სოლოლაკზე, თითქმის ლუბერნიის სასამართლოს გვერდით, სამი კინტო დაცვა ფურნეს, მოიტაცეს დახლი და გაიქცნენ. ამ

ფალტონი

პართეალაზი ოსმალეთში *)

(დასასრული)

როდესაც მსმალოს ქართველებმა დაინახეს, რომ იმ დღითი-დღე აუცილებელი ხდებოდა რუსეთსა და მსმალოს შუა, დაწმუნებულნი იყვნენ, რომ იმ აქეთ არ იქნებო, არამედ ლუნაისკენაო, რადგანაც დანარჩენი ინსურგენტების ბრძოლა იმ მხრით არისო; ისინი იმედოვნებდნენ, რომ შეუერთდებიოთ ჩვენს დიდი ხნის განშორებულს თანამომხმეებსაო (?). ჰოველ ნაბიჯზე ამას გაიგონებდით: „იშალაჰ (ღვთით)! მალე შეუერთდებით ჩვენ თანამემამულეებსაო!“

წევლად, რომელიც შემოდ გამცნეთ.

ალი-ფაშამ, მსმალ-ბეგმა, შერიფ-ბეგმა და სხვა ამნაირ გამორჩენილმა პირებმა დაიწყეს ვოლონტერების შეკრება, რომლებს რიცხვი დღიდგან-დღეზე მატულობდა.

მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მსმალოს მთავრობა ცოტა უსამართლოთ მოექცა შერიფ-ბეგს, რომელიც ცნობილმა ჩვენ საქართველოში ხიმშიაშვილის სახელით:

მკითხველს ეხსოვნება, რომ გავლილ ხანებში, მას შეილი რომ მოუკლეს, მთავრობა მას აბრალებდა ამ მოქმედებას, დაიბარეს სტამბოლში და, ბევრი დავის შემდეგ, გამოიხსნა თავი და დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

ამ უკანასკნელ დროში, იმან შეჰკრიბა ორი-ათას კაცადი მილიციონერი (ვოლონტერი) და ჩამოიყვანა ბათუმში; ამათ დაურიგეს თოფები და გაგზავნეს აჭარაში.

მაგრამ მსმალოს მთავრობა მაინც

*) „დროება“, № 134 წ.



დროს მეფურნე ერთი მინუტით სადღაც მოშორებოდა დახლს.

მტაცებლები ინსტიტუტის ქუჩაზე დაიჭირა ხალხმა, დაატოვებინეს დახლის ყუთი და თვითონ კი გაიქცენ; მხოლოდ სამი მანეთის ამოღება მოესწროთ.

ამაში შესანიშნავი მაინცა-და-მაინც არა არის-რა, რადგან ამისთანა შემთხვევები ჩვენს ქალაქში იშვიათად არ ხდება. მაგრამ თუ ვბეჭდავთ, მხოლოდ იმიტომ ეს გაბედული ტაციობა საღამოს მერვე საათზე მოხდა, როდესაც აქეთკენ მუდამ მიდი-მოდის ხალხი.

* * პეტერბურგის გაზეთების რედაქტორებმაც დაიწყეს ჩვენს ქალაქში თავიანთ გაზეთების ცალკე ნომრების გაყიდვა. ამ ქაშად, სხვათა შორის, ორი გაზეთი ისყიდება ოფილისში: „Голосъ“ და „Новости“; პირველი ამ ნომერთაგანი, როგორც ვითხრეს, ღლეში 75 ეგზემპლიარამდინ სადღება.

* * „მოსკოვის უწყებების“ უკანასკნელს ნომერში იწერებინან, რომ ფინანსთ მინისტრმა წინადადება მისცა ქალაქის კრედიტის ბანკებს და აგრეთვე საადგილ-მამულო ბანკებსა, რომ მომავალ 1878 წლის პირველ იელისამდინ დროგონ სესხისა და სარგებლის შემოტანა იმ პირობით, რომელთაც ამ ბუნებრივად ფულები აქვთ აღებული და რომელნიც ამ ქაშად ბრძოლის ველზედ იმყოფებიანო. მინისტრი ამბობს, რომ ამ გვარ თავაზიანობას ბანკების მხრით ხელმწიფე იმპერატორი დიდის ყმაყოფილებით მიიღებსო.

* * რუსულ გაზეთებში იწერებინან, რომ მაკარის იარმუკაში წელს კარგად ვერ მიდის ვაჭრობაო, განსაკუთრებით

ძავეკასის ენდრო თითქმის სრულებით არ იყიდებოა; ამბობენ, რომ 50,000 ფუთი ენდრო გაუსყიდველად ჰყრია, 25,000 ფუთი კი მანეთად და ხუთ შაურად გაუყიდათ. ძარგათ გაყიდულა შიზლარის ღვინო და აგრეთვე ბეწვეულება.

რუსო ქვეყნები

საზრანგათი

რუს გარემოებაზედ არის ამ ქაშად მთელი საფრანგეთის ხალხისა და გაზეთების ყურადღება მიქცეული; ერთი ამ გარემოებთაგანი ვახლავს გამოჩენილი პლოლჟ ტიერის გარდაცვალება და მეორე ზამბეტას სამართალში მიცემა იმ სიტყვისათვის, რომელიც იმან ქალაქ ლილში წარმოსთქვა ერთს მეჯლისზე.

ტიერი, როგორც მოგხსენებთ, 23 აგვისტოს (4 სექტ.) გარდაიცვალა სან-შერმენში. შუადღემდინ არავითარ ტკივილსა და ავთმყოფობას არ გრძნობდა თურმე. პირველს საათზე უეცრივ დაშლა მოუვიდა; ნახევარი საათის განმავლობაში უგრძნობელად ყოფილა და შემდეგ მომკვდარა.

როგორც პარიჟილამ მოსულ დებეშამ გეაცნობა, ტიერის გვამის დამარხვა სახელმწიფო ხარჯით სდომებიათ; მაგრამ იმის მეუღლე არ დათანხმებულა და თავის ხარჯით დაუმარხავს.

ამ უკანასკნელ დროს, მიცვალებული საფრანგეთის რესპუბლიკური პარტიის

მოთავედ ითვლებოდეს, რომის შემდეგ ეს ადგილი ზამბეტას, რომელიც სასაქონლო ფრთხალ ხალხს თითქო ეშინიან, შულ ბრევისთვის დაუთმია, რომელიც მთელს საფრანგეთში ცნობილია როგორც გონიერი, გამჭრიახე, მტკიცე რესპუბლიკელი და პატიოსანი კაცი.

ამ ტიერის გადაცვალებაზე ნაკლებ არ ალაპარაკა ქვეყანა მმართველობისგან ზამბეტასი სამართალში მიცემა იმ შემოხსენებული სიტყვებისათვის; რომელიც იმან ლილში წარმოსთქვა.

მართი კვირის განმავლობაში ჰქონია ამ საგანზე ჟურნალ-ბრძოლის სამინისტროს სჯა-მივსცეთ ზამბეტა სამართალში, თუ არაო. ბოლოს გადაუწყვეტიათ.

მაგრამ ყველა გაზეთებს კი უკვირთ — თუ რისთვის, რომელი ჰაზრის გამოტქმისათვის უნდა გაამტყუნოს სამართალმა ეს გამოჩენილი რესპუბლიკელი ორატორიო. ამბობენ, რომ საზოგადოთ მთელი იმ სიტყვის ჰაზრი არ მოეწონა მთავრობას, მთელს სიტყვაში რესპუბლიკის პრეზიდენტის, მაკ-მაჰონისა და იმის სამინისტროს შეურაცხყოფა და განკიცხვა არის გამოხატულიო. მაგრამ როგორც ახლანდელი სამინისტროს ოფიციალურ გაზეთი, „Figaro“ გვაცნობებს, უმთავრესი გასამტყუნებელი საბუთი იმ ადგილზე იქნება დამყარებელი, სადაც მოხსენებული არისო, რომ „თუ მომავალ კენჭის-ყრით ხალხმა მომეტებული ნაწილი რესპუბლიკელი დეპუტატები ამოარჩიოს, მაშინ მარშალი

არ იყო დანდობილი შერიფ-ბეგის ერთგულობაზე: რამდენიმე წლის წინეთ, იმან მოიწადინა აჭარაში გზის გაკეთება ახალციხეს გადასაყვანათ; მისმა მოწადინებამ უქმათ ჩაიარა, რადგანაც მთავრობამ ეჭვი აღო-ვითომ იმას ჰქონოდას განზრახვა ამ გზით რუსები შემოეყვანა ოსმალეთში.

ამის გამო იმისგან შეკრებილ მილიციონერებს ვაყოლა რეგულიარული ჯარი.



ამნაირ მდგომარეობაში დავტოვე მე ჩვენი თანამემამულენი, როდესაც წამოველი ბათუმიდამ.

— შეიღობით, ბეგო, ვუთხარი მე წამოსვლის დღეს ერთს ქართველ ბეგს, — უკანასკნელი რუსის ცეცხლის-გემი დღეს მოვიდა, უნდა წავიდე ჩემს სამშობლოში!

— რისთვის მიდინარ? მკითხა მან, ნუ თუ ვერ ჰპოვე ჩვენში იმნაირი მიჩნევა

და მფარველობა, რომ აქ ცხოვრება შეგეძლო თავისუფლათ? თითქოს გვეუბნებოდნი ხშირათ, რომ ჩვენ მიგვანდით, რადგანაც ერთი მამულის შეიღობი ვართო? ვამოდიო ჩვენთან, იცხოვრეთ და უფრო დარწმუნდებით, რომ ჩვენ ძარღვებშიაც იმნაირივე სისხლი დღეს, რა ნაირიც თქვენი სისხლია და შემდეგ, როდესაც შევალთ ჩვენს საქართველოში, წამოგვეყვები გასაცნობლათ ჩვენი დიდი ხნის განშორებული თანამომხმებთან?

— არა, არა, ხელმეორედ ვუთხარი მე იმას. მე მივდივარ მისთვის, რომ ჩემი თანამემამულეები ვნახო, დავარწმუნო იგინი, რომ ოსმალეთში ქართველებს ისე არა ჰყვებართ დავიწყებულნი, როგორც ჰტიქრობთ-მეთქი და გავავრცელო მათ გულში თქვენი იმნაირი სიყვარული, როგორისაც ღირსნი ხართ.

— რადგან მაგრეა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ისურვოს გამჩენმა, რომ მომავალი ამ დროს მოღწეოდეთ ჩვენს

მიზანსა. ბარდაცი მათ ჩვენი მათდამი სიყვარული.....

ამ დროს, მოეშორდი მას, რადგანაც ცეცხლის-გემმა მისცა ნიშანი წასვლისა.

თუმც ერთის მხრით აღტაცებით მოველოდი ჩემი თანამემამულეების ნახვას და ვბედნიერდებოდი იმ ჰაზრით, რომ რამდენიმე ხნის უნახავი სამშობლო უნდა მენახა და დამეკმაყოფილებინა ის გრძნობა, რომელიც დაიბადების კაცის გულში, როდესაც იგი სამშობლოსაგან შორს არის, მხოლოდ მეორე მხრით გულ-დაწყვეტით ეშორებოდნი იმ ალაგებს, სადა ქართველ კაცს აგონებენ ყოველ ნაბიჯზე საქართველოს წარსულს ცხოვრებას, წარსულ წოდებას! მხოლოდ ერთი რამ მაიმედებდა.... 7-ს აპრილს გამოვემგზავრე ბათუმიდგან...

3. მკვლევარი

ქუთაისი, 25 აპრილს

მაკ-მაჰონი და იმის სამინისტრო იძულებული იქნება, რომ ან დაემორჩილოს ხალხის ნებას და ან გადადგენ თანამდებობიდან (se soumettre ou se demettre).

თავის საქმე და აგრეთვე თავის გაზეთის „Republique Française“-ის რედაქტორის საქმე გამბეტას შულ-ბრევისა და ადვოკატის პლუსათვის მიუხედავად სასადავოდ. პარაჟის გაზეთები გვაცნობენ, რომ მომრიგებელ მოსამართლემ უკვე მოიხმო გამბეტა და პირველი ჩვენება ჩამოართვა ამ საქმის შესახებ.

ოსაალთი

ხონთქარს გადაუწყვეტია, რომ აღრიხდელი ოსმალოს ღუნაის არმიის მთავარ სარდლის აბდულ-შერიფ-ფაშისა და სამხედრო მინისტრის რედიფ-ფაშის საქმე ამ ომის გათავების შემდეგ განიხილოს სამხედრო სასამართლოში; ჯერჯერობით კი ეს ორი წარჩინებული პირი ღემნოსის კუნძულზე გაგზავნეს და იქ პოლიციის მხედველობის ქვეშ იცხოვრობენ.

ნარკვი

შრანცუზული გაზეთის „Le Temps“-ის კორესპონდენტი იწერება სტამბოლიდან:

„ღიღი ამბავი იყო აქ, როცა პლენასთან ომის დასრულების ამბავი მოვიდა. საუკეთესო მჭიბვეში მოღივანა გადაიხადეს და მადლობა შესწირეს ღმერთს; ქუჩები და სახლები გაჩირადნებული იყო.

„მაგრამ ხალხი მაინც როგორღაც ჩაფიქრებულია. რიგან? იმისაგან, რომ, როგორც ამბობენ, ხონთქარის პირველ მკითხვეს (ასტროლოგს) უწინასწარმეტყველებია, რომ „მოსკოვები“ (რუსები) შემოვლენ სტამბოლში და დაიპყრობენ ჩვენს დედა-ქალაქსაო.

„მე დამარწმუნეს, რომ ზოგიერთ სტამბოლის უბნებში მცხოვრებლებს დიდ-ძალი ნაეთი აქვთ მომზადებული იმ განზრ. სეითაო, რომ თუ ჩვენი ჰაჯი-მაჰმად-მჭედის წინასწარმეტყველება აღსრულდა, სახლებს ცეცხლს წაუქიდებთ და რუსები რომ შემოვლენ, ჩვენ წავალთ, მაგრამ იმათაც ქვა-ქვაზედაც აღარ დახვდებათ აქაო.“

* *

ამ აგვისტოს 16-ს, როგორც ამერიკის გაზეთებში გვაცნობებენ ნიუ-იორკიდან, მლაშე ტბის ქალაქში გადაცვილია გამოჩენილი მოთავე მარმონების სექტისა ბრიამ იონგი, რომელსაც ამ ნაირად ერთს დღეს, თავის სიკვდილით, 80 ცოლი დაუქვრივდა.

მე-23 ტირაჟი მორკა უინაზანი სხსინსა, რომელიც მოხდა პეტერბურღში 1 ენკენისთვის:

Table with 3 columns: № სერიისა, № ბილეთისა, ჯამი მოგებისა. Lists serial numbers and ticket numbers with corresponding amounts.

განცხადებანი

გაკვეთილები

რეტიულის და პრაქტიულის გუნ-ლალტერიისა ორ-გვარის ანუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, სა-ვაჭრო, კომისიურის და აგრეთვე სამა-ჭრო არითმეტიკისა.

აღრმის: ლაბორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირ-და-პირ, ქაროვის სახლებში, № 14.

მ. ხაჩატუროვი (3-2)

მისათვის და მხანაიკოსს რუ-ბან ნაკაშიანს

ტივი პატივეცემულ თფილისის საზოგადოებას აცნობას, რომ ის ამყოფება თამბაქოს ფაბრიკანტის უფ. ნიკოლოზ ბოზარჯიანტის მალაზიაში (დენერალ-მიორის არწრუნის ქარვასლაში, შტაბის გვერდით) და იღებს განსაკეთებლად საათებს და სპარაჟ და აგრეთვე სხვა უოველგვარ მათხნებს.

მაკეთებ აგრეთვე მაღალბიებისათვის ფარდებს, მზისაგან დასაფარებელად; ამ ფარდებს ის უპირატესობა აქვს, რომ უსვეტოთ არის გაკეთებული და მგხანაიკურის ბორბალით შეიძლება იმის აწევა და დაწევა.

ჭუთაისში მიიღებან ჟაჟვილვას საშუალ სასწავლებლების მესამე კლასამდინ მოსამზადებლად.

მსურველს შეუძლიან იკითხოს „ძოლხი დის“ სასტუმროში მაღამ დიუჰონი.

Large table with multiple columns: რკ. გზა, დილა, საღამ., II კ., III კ., ტელეგრაფი, ბირჟა, მაზანდა. Contains various numerical data and text entries.